ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01242543717**
თარიღი: **10/09/2024**

ადრესატი: შპს „ინდუსტრიული ქალაქი“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404580191
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №14

თქვენი 2024 წლის 02 აგვისტოს №10/0124215408-61 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში: **სააგენტო**) არ არის წინააღმდეგი სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-482-1-23724 ხელშეკრულების“ (მასში შესული ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, შემდგომში: **ხელშეკრულება**) საფუძველზე, საპრივატიზებო ქონების (ს/კ: 01.11.17.008.031 და 01.11.17.006.844) ნაწილზე, კერძოდ, №01.11.17.008.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში №AR11025063 წარმოების ფარგლებში წარდგენილი ვადებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაიცეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა.

ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, გაცნობებთ, რომ წინამდებარე თანხმობა არ ცვლის ხელშეკრულებით ან სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ შორის 2024 წლის 18 იანვარს გაფორმებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-482-1-23724 ხელშეკრულებაზე“ დამატებების განხორციელების შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებულ რომელიმე პირობას ან ვადას.

ამასთან, წინამდებარე თანხმობა არ შეიძლება განხილული იქნას სააგენტოს მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე რაიმე უფლების გამოყენების თაობაზე უარის თქმად.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი